MES 6 21 0000662563

02/07/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 18.06.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:41 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინოიმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **გაიანესიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
4. **ანზორბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
5. **ელიზბარელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

6. **ნიკათიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
7. **გიორგიღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **დავითკაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
9. **დიანამჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
10. **ეკატერინენაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
12. **თეონამატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
13. **მაკაკაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებებისაკრედიტაციისსაბჭოსმოწვეულიწევრები

1. **გიორგიჩილინგარაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი;
2. **ხათუნათოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი,ნარკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;
3. **ივანეაბიათარი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინტიტუტის დირექტორი,დეპარტამენტის/სკოლის - "მედიცინის სკოლა" ხელმძღვანელი,ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი;
4. **ნინოოკრიბაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე,მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი;
5. **მაიაბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
6. **თამარვალიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამკურნალო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძარვანელი,ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ბიძინაკულუმბეგოვი** - ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს "კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის"მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
8. **მარინეგელანტია** - შპს "აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
9. **ნინოშარიქაძე** - შპს "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;
10. **დავითკობეშავიძე** - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;

11. **ლევანრატიანი -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,სრული პროფესორი;

12. **გივიჯავაშვილი -** საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,პროფესორი;

13. **ივანეჩხაიძე -** კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების,შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

14. **ხათუნაზალდასტანიშვილი -** სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

15. **შორენაწიკლაური -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის"ასისტენტ პროფესორი,ამავე უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;

16. **ნათიასხვიტარიძე -** სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამარ მახარაშვილი	დირექტორი
2	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
5	ლაშა მაჭარაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ირმა გრძელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I-II-III-IV-V
2.	გიორგი შარვაშიძე		რექტორი	I-II-III-IV-V
3.	დიმიტრი კორძაია		მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელი	I-II-III-IV-V

4.	ნინო ჩიხლაძე		მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I-II-III-IV-V
5.	რამაზ ხომერიკი		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	III-IV-V
6.	ბეჟან თუთბერიძე		საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	III-IV-V
7.	გურამ ქუთელია		დეპარტამენტის ხარისის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	III-IV-V
8.	მარიამ ახალკაციშვილი		თვითშეფასების ჯგუფის წევრი	III-IV-V
9.	თამარ ჭელიძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III-IV-V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	მაირი სკოტი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
2	ნოდარ ფოფორაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV-V
3	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV-V
4	ავთანდილ ოქროსცვარიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV-V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოზე არ იმყოფებოდა საბჭოს მდივანი მარიამ შენგელია, რის გამოც აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე - 4 პუნქტის მიხედვით, საბჭოს სხდომის მდივნად განისაზღვრა მაკა კაჭარავა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:41 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ (ქართულენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ (ქართულენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **1. პირველისაკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ (ქართულენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	,,მედიცინა“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წელი 16 სექტემბერი (გადაწყვეტილება#35)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მედიცინის (ქართულენოვანი) ერთსაფეხურიანი პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360ECTS
15	განხორციელების ადგილი	ბელიაშვილის #78 თბილისი, 0179 საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

2.მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	16.09.2011 (გადაწყვეტილება#36)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მედიცინის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360ECTS
15	განხორციელების ადგილი	ბელიაშვილის #78 თბილისი, 0179, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა გიორგი ღაღანიძემ და თეონა მატარიძემ. ასევე, მოწვეული საბჭოს წევრებმანინო ოკრობელაშვილმა და მაია ბიწკინაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა აწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ სბჭოზე დაინტერესებულ მხარეებს შესთავაზა ვინაიდან, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ (ქართულენოვანი) ერთსაფეხურიანი და „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, ორივე პროგრამა განეხილათ ერთად და აკრედიტაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებითაც ერთი შესვენების ფარგლებში ემსჯელათ.

პირველი და მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვასაბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ აფასებდა მათ მიერ გაწეულ შრომას და მოქნილობას პანდემიის პირობებში სწავლების ელექტრონულ ფორმატზე გადასვლასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში აღნიშნა 11 საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და ხაზი გაუსვა, რომ დასაფასებელი იყო დაწესებულების მუშაობა ინტენსიური კვლევის მიმართულებით. მისი შეფასებით, მნიშვნელოვანი იყო თსუ-ის ურთიერთობა ადგილობრივ საზოგადოებასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ბრწყინვალე მუშაობა და სტუდენტების აქტიური ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების პროცესში. რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ პირველი ორი რეკომენდაცია შეეხებოდა, სტუდენტებისათვის ცნობიერების ამაღლებას სწავლა-სწავლების მეთოდებსა და შეფასების კონსტრუქციული შესაბამისობის თვალსაზრისით. გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში შემოდიოდა ინტეგრირებული კურიკულუმი, რაც სტუდენტებისათვის წარმოადგენდა სიახლეს, მნიშნელოვანია შემუშავებულიყო გზები, რომლებიც გაუადვილებდა სტუდენტებს კურიკულუმის ფარგელბში გამხდარიყვნენ დამოუკიდებელი შემსწავლები და ხელი შეეწყოთ სწავლა-სწავლების პროცესში თვითგანვითარებას, ამისათვის მნიშვნელოვანი იყო მათ ესმოდეთ ზუსტი კავშირები მეთოდოლოგიასა და შეფასების საშუალებებში. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მე-3 რეკომენდაცია შეეხებოდა კლინიკური სწავლების შესაძლებლობების ზრდას და ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული პრობლემა არამხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო დონეზეც გვხვდებოდა. მისი თქმით არსებული კლინიკური სწავლება შეესაბამებოდა არაინტეგრირებულ კურიკულუმს, ხოლო ახალი, ინტეგრირებული

კურუკულუმის ფარგლებში აუცილებელი იყო მათი გადახედვა და შესაძლებლობების გაზრდა, რათა სტუდენტს ჰქონოდა საშუალება უფრო მეტად ფოკუსირებულიყო საკუთარ ინტერესებზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულ ორივე პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციები და რჩევები იდენტური იყო.
მედიცინის (ქართულენოვანი) და მედიცინის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი პროგრამებისთვის რეკომენდაციები:

1. 1. (2.5) მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა გააცნობიერონ პროგრამა კომპეტენციების, კურიკულუმის მიწოდებასა და შეფასების კონსტრუქციული შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც შეიძლება რთული იყოს სრულად ინტეგრირებული
2. 2. (2.6) მიუხედავად იმისა, რომ შეფასების პროცესები სწორად შეესატყვისება კომპეტენციებს და კურიკულუმის დიზაინსა და მიწოდებას, სტუდენტებს უნდა დაეხმარონ უფრო ღრმად გააცნობიერონ არა მხოლოდ ის, თუ რას წარმოადგენს წარმატება შედეგების მიღწევაში, არამედ შეფასებების გრძელვადიანიურთიერთკავშირი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის პროგრესირების მტკიცებულებას.ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს შინაგანად დასახონ საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნობრივი ნიშნული.
3. 3. (4.1) კლინიკური სწავლება და ზედამხედველობა კარგად არის დამკვიდრებული, თუმცა, კურსების განვითარების შესაბამისად, აუცილებელი გახდება მათი გადახედვა და შეიძლება საჭირო გახდეს შესაძლებლობების გაზრდა.

14:56 საათზე ექსპერტმამაირი სკოტმა დატოვა საბჭოს სხდომა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი შერვაშიძემ განმარტა, რომ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ექსპერტების მიერ ზედმიწევნით ზუსტად შესრულებული სამუშაო, მათი საინტერესო მიგნებები და საჭირო რჩევები. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა რეკომენდაციებს, რომლებიც შეეხებოდა სხვადასხვა ასპექტებს. გამომდინარე იქიდან, რომ ინტეგრირებული კურიკულუმი წარმოადგენდა აუცილებლობას, კარგად დაგეგმილი და სტრატეგიულად სწორი არჩევანი იყო ის პროცესები, რომელიც მიმდინარეობდა აღნიშნულ პროგრამაზე. ინტეგრირებული კურიკულუმის დანერგვა, წინ გადაგმული ნაბიჯი იყო, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უნივერისტეტის განვითარებისთვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც კვლევითი უნივერსიტეტი, ინტენსიურად ატარებდა კვლევებს და იზრდებოდა მისი საერთაშორისო პოზიციონირება. რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა კლინიკურ სწავლებას, აღნიშნა, რომ დაწესებულება ინტენსიურად მუშაობდა კლინიკებთან მჭიდრო თანამშრომლობის დასამყარებლად. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება თანამშრომლობდა თავდაცვის სამინისტროსთან სამედიცინო სფეროში. ხოლო ჰოსპიტალებს, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს გააჩნია დაწესებულება გამოიყენებდა, როგორც საბაზო ჰოსპიტალებს. აღნიშნული შესაძლებლობა დაეხმარებოდა, როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს. სამედიცინო მიმართულება დაწესებულებაში ძლიერდებოდა და ეს გამოიხატებოდა ასევე კონკრეტულ რეზულტატებში. აღნიშნულიდან გამომიდნარე საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ზოგადად მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება წარმოადგენდა სტრატეგიულ მიზნას, რადგან ქვეყნის სტრატეგია იყო, 2024 წლისათვის გამხდარიყო ევროკავშრის წევრი ქვეყანა. ევროკავშირს 4 პრიორიტეტული მიმართულება ჰქონდა, მათ შორის მედიცინა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა. ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ სწორად და სტრატეგიულად დგამდნენ ნაბიჯებს მიზნამდე, რომელიც შეეხებოდა უმაღლესი განათლების სფეროს, გამხდარიყო ერთიანი ევროპული უმაღლესი განათლების სექტორის ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჩიხლაძემ, 2.6 კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე განმარტა, რომ წარმოდგენილი შეფასების სისტემის კომპონენტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო დადებითად, რეკომენდაციაში აღნიშნული ოყო, რომ შეფასების პროცესები სწორად შეესატყვისებოდა კომპეტენციებს და კურიკულუმის დიზაინს. მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაში, კურიკულუმის კომიტეტის მიერ შემუშავებულ იქნა შეფასების ახალი სისტემა, რომლის დანერგვაც გაწერილი იყო ხანგრძლივ პერიოდზე და მისი იმპლემენტაცია ეტაპობრივად მიმდინარეობდა. ამ ეტაპზე დაწესებულება, მიმდინარე პროგრამის ფარგლებში ახორციელებდა ნაწილობრივ დანერგვას და პილოტირებას. თუმცა მოდიფიცირებულ პროგრამაში გაწერილი იყო პირველივე კურსიდან. მაგალითისთვის მან აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგელბში პორტფოლიოს დანერგვა გაწერილი იყო 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, თუმცა Covid-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო დაწესებულებამ გადაწია მისი დანერგვა ერთი სემესტრით და 2020-2021 წლის შემოდგომის სემესტრში განახორციელა მედიცინის IV-V-VI კურსის სტუდენტებისთვის, კლინიკურ დისციპლინებში (მაგალითად: თერაპია, დერმატო-ვენეროლოგია და ა.შ). შესაბამისად, საწყის ეტაპზე შეუძლებელი იყოპორტფოლიოს წარმოეჩინა შეფასება დროში ან პროგრესია, თუმცა განახლებულ პროგრამაში პორტფოლიოს ამოქმედება პროგრამის 6 წლიანი მიმდინარეობის განმავლობაში დაწესებულებას მისცემდა ურთიერთკავშირების სრულად წარმოჩენის შესაძლებლობას და აღქმის საშუალებას. რაც, თავისმხირვ, წინაპირობა იქნებოდა, რომ სტუდენტს პროფესიული განვითარების სამიზნე ნიშნულები ინდივიდულაურად განესაზღვრა. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას მიაჩნდა, რომ შეფასების სიტემა და პროცესები დაგეგმილი იყო სტუდენტის პროგრესიის წარმოჩენისა და მისი ინდივიდუალური სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ამიტომ, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, 2.6 კომპონენტში არსებულ რეკომენდაციაში წარმოდგენილ პოზიციას უპირატესად რჩევის ხასიათი ჰქონდა. რაც შეეხება 4.1 კომპონენტში არსებულ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა კლინიკურ სწავლებას და სუპერვიზირებას, სადაც რეკომენდაციაში ნაწილობრივ დადებითად იყო შეფასებული კლინიკური სწავლება და ზედამხედველობა, თუმცა ასევე მოცემული იყო მოსაზრება, რომ კლინიკური კურსების განვითარებასთან ერთად საჭირო იყო შესაძლებლობების გაზრდა. წარმოდგენილ მოსაზრებას იზიარებდა დაწესებულება, თუმცა მათ მიაჩნდათ, რომ მოცემულ რეკომენდაციასაც უპირატესად რჩევის ხასიათი ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. გამომდინარე იქიდან, რომ არსებობდა კურიკულუმის ინტეგრაციის სხვადასხვა მიმართულება, რომელი აირჩია დაწესებულებამ და რა იყო ამის საფუძველი. რომელი სწავლების და შეფასების მეთოდები იყო უფრო მეტად დაახლოებული ინტეგრაციის ეფექტურ განხორციელებასთან. მან ასევე აღნიშნა, რომ ნებისმიერი ინოვაცია წარმოუდგენელი იყო აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გარეშე, მათ შორის სამედიცინო განათლების კუთხით, ამიტომ საინტერესო იყო რა მდგომარეობა იყო ამ მიმართულებით დაწესებულებაში.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა განსხვავება იყო სამეცნიერო-კვლევითი უნარჩვევების განვითარების და ელექტიური კომპონენტის თვალსაზრისით დაწესებულებაში, ამჟამად მინიდნარე და რე-აკრედიტაციაზე წარმოდგენილ პროგრამებს შორის.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, შორენა წიკლაუმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა მეთოდით ხდებოდა კლინიკურ საგნებში სტუდენტების ცოდნის შეფასება.

საბჭოს მოწვეული წევრი, ნათია სხვიტარიძე დაინტერესდა, თუ რა ხელშეწყობა ჰქონდათ სტუდენტებს პროგრამაში კვლევითი უნარების გამომუშავებისთის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ სამედიცინო მიმართულებით პროფესიული განვითარება ნამდვილად უწყვეტ პროცესს წარმოადგენდა. ამ მიმართულებით უნივერსიტეტში, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით, იგეგმებოდა არაერთი აქტივობა და ღონისძიება. აღნიშნული პროცესები ხორციელდებოდა ფაკულტეტის მიერ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიმიტრი კორძაიამ, საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში, „საუკეთესო პრაქტიკის“ მოკლე მიმოხილვის ნაწილში ეწერა, რომ „არსებობდა ამბიციური სტრატეგიული გეგმა იმის თაობაზე, რომ თსუ ჩამოყალიბებულიყო "ინტენსიურ კვლევით უნივერსიტეტად". თსუ-ში იყო სისტემა შექმნილი, რომლის მიხედვითაც შეიქმნა კათედრა, სადაც სტუდენტები გადიოდნენ კონკრეტულ საგნებს. აღნიშნულ კათედრაში, ჩრთული იყვნენ, როგორც მაგისტრანტები, ასევე დოქტორანტები. თითოეულ დოქტორანტს მიმაგრებული ჰყავდა 3-დან 5-მდე სტუდენტი, რომლებიც მონაწილეობდნენ იმ კვლევის ჩატარებაში, რასაც ახორციელებდა დოქტორანტი, ხოლო კათედრა ამას ხელმძღვანელობდა. დაწეესებულების ამოცანას წარმოადგენდა, ყველა სტუდენტი, რომელიც სწავლობდა მედიცინის პროგრამაზე ჩართული ყოფილიყო კვლევით აქტივობაში სწავლების პირველივე დღიდან. ქართულ და ინგლისურ ენოვან სამედიცინო მიმართულებაზე ჯამში დაახლოებით 1500 მდე სტუდენტი ირიცხებოდა. მათ ემსახურებოდა 119 აკადემიური და 110 მოწვეული პერსონალი. რაც, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით სამეცნიერო და კვლევითი კომპონენტების გათვალისწინებით, საქართველოს პირობებში იყო უნიკალური. ორი ძრითადი სასწავლო კურსი, სამეცნიერო კვლევის უნარები და კლინიკურ კვლევის უნარები, ევრო რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმოდგენილი იყო 10-10 კრედიტით. მულაჟების ცენტრი. გარდა ამისა, აღსანიშნავი იყო ხელშეკრულება თეატრალურ უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც მზადდებოდნენ მსახიობები, რათა შეესრულებინათ პაციენტების როლი. თუმცა, ამ ეტაპზე, დაწესებულებას გადამზადებული მსახიობები ჯერ არ გამოუყენებია. ახალი სამედიცინო პროგრამის პირობებში სტუდენტის შეხება პაციენტებთან იწყებოდა პირველივე კურსიდან, ხოლო ინტენსიური შეხება - მე-3 კურსიდან, რადგან აღნიშნული კურსი წარმოადგენდა გარდამავალ საფეხურს, სადაც შეისწავლებოდა პრობედევტიკა, ზოგადი ქირურგია, ზოგადი რადიოლოგია, ზოგადი ფარმაკოლოგია და სხვა. შემდგომ ამისა კლინიკური პორტფოლიო იწყებდა მუშაობას, რომელიც მანამდე უფრო მეტად ფუნდამეტური ხასიათის იყო. შემდგომ იწყებოდა ოსკის გამოცდები, რომლებიც მანამდე იყო თეორიულ საგნებში. სტუდენტებს პირველ კურსზე, კლინიკებბში უტარდებოდათ გაცნობითი ხასიათის შესავალი კურსები. მაგალითად, ქირურგიული ტექნიკა - ნაკერის დადება, სტუდენტს უტარდებოდა როგორც მულიაჟზე, ასევე სიმულატორზე და ცხოველზე. დაწესებულებამ შეიძინა ტექნიკა რომლის საშუალებითაც, სტუდენტს ეძლეოდა შესაძლებლობა ნაკერის დადება შეესწავლა, როგორც ხელით, ასევე ლაპარასკოპიული მეთოდით. რაც შეეხება კვლევითი უნარების გამომუშავებას, იწყებოდა პირველ კურსზე და გრძელდებოდა 6 წლის მანძილზე. პირველ კვლევით უნარჩვევებში, განიხილებოდა ნაშრომის არსი და ბაზები. თითოეულ სტუდენტს პირველივე კურსზე უნდა გაეხსნა წარმოსახვითი ბაზა პაბმედში და გუგლსქულარში, სადაც სტუდენტი იწყებდა მოძიებას და სტატიის შეფასებას. აღნიშნული პროცესების სიმარტივეს ხელს უწყობ კარგი კომპიუტერული აღჭურვილობა.

სტუდენტები, რომლებიც ამთავრებდნენ მე-6 კურსს ამზადებდნენ სამეცნიერო პროექტს, ხოლო შემდეგ დაფინანსების წყაროს მოძიების შემთხვევაში იწყებოდა აღნიშნული სამეცნიერო პროექტის რეალიზება. კლინიკურ საგნებში შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით, დაწესებულებაში დაინერგა ოსკის გამოცდების სისტემა, სადაც ხდებოდა კლინიკური ცოდნის კომბინირებული შეფასება. თითოეულ კლინიკურ ბაზაზე ტუტორების რაოდენობა იყო საკმაოდ მაღალი, დაინერგა პორტფელიო და ფრაგმენტულად დარჩა ძველი მეთოდები (ტესტური გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა და სხვა). ახალი პროგრამის იმპლემენტაცია დაიწყებოდა ახალი სასწავლო წლიდან.

საბჭოს მოწვეული წევრი, ბიძინა კულუმბეგოვი დაინტერესდა, პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების მეთოდებით. მისი თქმით, ერთი მხრივ აღნიშნული სწავლების მეთოდი ქმნიდა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების პრობლემას, თუმცა მეორე მხრივ, იძლეოდა უცხოეთიდან კვალიფიციური პედაგოგების მოწვევის შესაძლებლობას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესდა ხომ არ უსარგებლია დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე ამ შესაძლებლობით და როგორ მოახერხა პროგრამამ ადაპტაცია პანდემიის პირობებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი კორძაიამ აღნიშნულთან დაკავშირებით გამარტა, რომ უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ განიხილა საკითხი ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით და მათი გადაწყვეტილებით არჩევანი შეჩერდა არა სრულად ონლაინ სწავლებაზე, არამედ ჰიბრიდულ მოდელზე მცირე ჯგუფებში. მაგალითად, ინფექციურ სნეულებათა კათედრაზე არ შეწყვეტილა სტუდენტების ჩართულობა არცერთ პერიოდში. სტუდენტებს მოუწიათ კოვიდ ინფიცირებულ პაციენტებთან მუშაობა, რეანიმაციაში ყოფნა და შესაბამისად საგნების გავლაც. აღნიშნული მიდგომა იყო ასევე ქირურგიაში და თერაპიაში. გარდა ამისა, ონლაინ სწავლების პირობებში გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო დამაჯერებლობის კომპონენტთან, რამაც აუცილებელი გახადა აკადემიური პერსონალის უფრო მეტად ფაქტობრივი მომზადება, რის შედეგადაც შინაარსობრივად გაძლიერდა სასწავლო კურსები. ხოლო, რაც შეეხება უცხოელი პედაგოგების მოწვევას, ფაკულტეტთან შეიქმნა საერთაშორისო ექსპერტთა საბჭო, სადაც ამჟამად იყო სხვადასხვა დარგის, მსფოლიო დონის აღიარებული 16 სპეციალისტი, რომლებსაც დაწესებულებამ სთხოვა ჩაეტარებინათ ლექციები და მიეწვიათ სტუდენტები მათ კლინიკაში. პროცესები აქტირად დაიწყო, ჩატარდა ლექციები და სტუდენტთა ჯგუფი მიემგზავრებოდნენ გერმანიაში ენდოკრინოლოგიურ კლინიკაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი შერვაშიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება, ასევე თანამშრომლობდა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან და ბიოლოგებთან, რომლებიც მუშაობდნენ აღნიშნულ თემატიკაზე, სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტში,მათ შორის სადოქტორო პროგრამაზე. ბევრი დოქტორანტი მონაწილეობდა ღეროვანი უჯრედების კვლევაში, რაც თავისთავად ურთიერთობის ძალიან საინტერესო ფორმატი იყო. გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამის დოქტორანტები, სხვადასხვა გრანტების მეშვეობით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და იმუნოლოგიის მიმართულებით იგზავნებოდნენ ამერიკის რამდენიმე უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტები დაასრულებდნენ კვლევის ნაწილს. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამის შესახებ, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მოიპოვონ შიდა საუნივერსიტეტო გრანტები იდეების და პროექტების განსახორციელებლად. წლიური დაფინანსება შეადგენდა დაახლოებით 800 000 ლარს. ასევე დაწესებულებაში არსებობდა დოქტორანტთა დაფინანსების შიდა საუნივერსიტეტო ფონდი. აქედან გამომიდინარე დაწესებულებას ჰქონდა ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები და ასევე იგეგმებოდა მისი ეტაპობრივი გაუმჯობესება. უნივერსიტეტმა სწორად გამოიყენა შესაძლებლობები, რომელბიც პანდემიის პრობებში წარმოიქმნა, ეს იყო ღია მეცნიერების კონცეფცია, საგრანტო პროგრამები თუ სხვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჩიხლაძემ ასევე განმარტა, რომ პროგრამის მოდერნიზაციის და კურიკულუმის ინტეგრაციის საფუძელი, გარდა ეროვნული დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, ასევე იყო მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები, მათ შორის სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის სტანდარტების ტრილოგია, გლობალური სტანდარტები, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის აკრედიტაციის ერთობლივი გაიდლაინი და „Tuning“ სახელმძღვანელოები. გარდა ამისა საერთაშორისო პროექტები, რომლებიც უშუალოდ კურიკულუმის მოდერნიზაციაზე იყო მიმართული. მაგალითად, ერთერთი იყო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად ერთობლივი “ტემპუსის” პროექტი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია სამედიცინო განათლების მოდერნიზაციაზე, ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებში. აღნიშნული

პროექტის ფარგლებში დაწესებულებას ქონდა შესაძლებლობა „ლთსის“ უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების სკოლასთან. ასევე, ნორვეგიის განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში თანამშრომლობა საერთაშორისო ექპერტებთან. 2018-2019 წლებში დაწესებულებას ჰქონდა საშუალება, მოეწვია და ეთანამშრომლა „საუთჰემპტონის“ უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორთან, რომელმაც ჩაატარა ტრენინგები, კურიკულუმის მოდერნიზაციასა და ინტეგრაციაზე, სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და შეფასების მეთოდებზე. ასევე დაწესებულებას პანდემიის პირობებში ჰქონდა შესაძლებლობა Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის ლიცენზიის უფასოდ მიღების, სასწავლო კონცეფციების წინასწარ დამტკიცების, Turnitin პროგრამის აქტიური ამოქმედება, Moodle სისტემის სრულყოფა და Lecturio-ს სრული ციკლის შეძენა, რომელიც სტუდენტს აძლევდა შესაძლებლობას, მოესმინა დარგის სპეციალისტის ლექცია ინგლისურ ენაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 4.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია მისი შინაარსით არ შეესაბამებოდა ამ კომპონენტის მოთხოვნებს. ვინაიდან აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნას წარმოადგენდა ადამიანური რესურსის შესაბამისობას სტანდარტის მოთხოვნებთან. მით უმეტეს, კომპონენტის აღწერით ნაწილში ექსპერტების მსჯელობაში არ ჩანს აღნიშნული რეკომენდაციის საჭიროება. ამასთან დაწესებულებამაც აღნიშნ, რომ 1500 სტუდენტს 119 აკადემიური და 110 მოწვეული მაღალკვალიფიციური პერსონალი ემსახურებოდა. ასეთივა ვითარება იყო 2.6 კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გაუგებარი იყო კავშირი რეკომენდაციებსა და კომპონენტის მოთხოვნებს შორის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია მედიცინის (ინგლისურენოვან) პროგრამასთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი კორძაიამ აღნიშნა, რომ თუკი ადრე ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები განსხვავდებოდა ერთამნეთისგან, ეს გამოწვეული იყო სახელმძღვანელოებით და დაწესებულების მზაობით. თუმცა ახალ საგანმანათლებლო პროგრამებში განსხვავება არ იყო, რასაც ხელი შეუწყო დაწესბულების მხრიდან მიღების წინაპირობების გაზრდამ და ინგლისური ენის მოთხოვნამ, რომელიც განსაზღვრული იყო 80%-ით, როგორც ქართულ ასევე ინგლისურენოვან პროგრამაზე. აღნიშნულის გათვალისწინბით, პროგრამამ დაუშვა თანაბარი სირთულის წიგნების გამოყენება. ამჟამად ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლობდა 500-მდე სტუდენტი. დაწესებულება უცხოელი სტუდენტის მიღებას ახორციელებდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით. და დაწესებულების პრინციპი იყო პროგრამა არ განხორციელებულიყო, მოწვეული ლექტორების ხარჯზე, როგორც დამკვიდრებული იყო საქართველოში. დაწესებულებას ჰყავდა შესაბამისი კადრები, რომლებიც ინგლისურენოვან პროგრამაშიც იქნებოდნენ ჩართული, აუცილებლობის შემთვევაში მოიწვევდნენ ლექტორებს. დაწესებულებას უცოელი სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებელი ჰქონდა, უზრუნველყოფილი იყო ინგლისურენოვანი ვებგვერდი,უცხოელი სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულები სტუდენტურ ცხოვრებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ბიძინა კულუმბეგოვმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებიდან, რამდენი პროცენტი იღებდა დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციას
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი კორძაიამ აღნიშნულთნ დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიღებული სტუდენტების დაახლოებით 70% ენიჭებოდა კვალიდიკაცია..
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ბიუჯეტთან დაკავშირებით ორივე პროგრამასთან მიმართებაში. მან აღნიშნა, რომ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო, როგორც დაწესებულების სრული ბიუჯეტი, ასევე ფაკულტეტის

ბიუჯეტი, თუმცა არ იყო წარმიდგენილი პროგრამის ბიუჯეტი, რაც პროგრამის მდგაროდობას უზრუნველყოფდა.,
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი კორძაიამ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ იმ შემთვევაში თუ Covi-19-ით გამოწვეული პანდემია გაგრძელდება, დაწესებულება ვერ დაგეგმავდა უცხოელი სტუდენტებისათვის გადასახადის მომატებას არსებული ვითარებიდანგამომდინარე. მომდევნო ორი წლის განმავლობაში, იგეგმებოდა ბიუჯეტის ზრდა 4 000 000 ლარით. დაწესებულებაში დღეს არსებული ბიუჯეტი, სავარუდოდ 70%-ით გაიზრდებოდა, რაც საკმარისი იყო პროგრამის განხორცილების და განვითარებისთვის.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:46
დასრულების დრო: 16:16
ირველი საკითხი:
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახურლი შეფასებები და მიიჩნია, რომ მეორე, სტანდარტი ნაცვლად „მეტილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, უნდა შეფასდეს, როგორც - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედიცინის“ (ქართულენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 25
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
1. რეკომენდირებულია შემუშავდეს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი.
   რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგირედაქციით:

   1. (1.2) გადაიხედოს სწავლის შედეგებისა და ქვე-შედეგების ფორმულირება სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის რამდენიმე ციკლის შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ პროცესის თანმიმდევრულობა და კვლავწარმოებადობა.
   2. (2.2) გათვალისწინებულ იქნეს სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და პერსონალის ოფიციალური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.
   3. (2.2) მითითებულ იქნეს მეტი, ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაცია პროგრამის შესახებ ვებგვერდზე.
   4. (2.2) შემუშავებულ იქნეს გზები, რომლითაც სტუდენტებს მიეცემათ პროგრამის სტრუქტურისა და შედეგების გააზრების შესაძლებლობა.
   5. (2.4) როტაციების მასშტაბისა და ფარგლების შემდგომი დეტალური დაგეგმვა, რომელთა შეთავაზებაც შესაძლებელი იქნება სტუდენტების არჩევანის მხარდაჭერის სისტემასთან ერთად, თუ იარსებებს არათანაზომიერი მოთხოვნა. შემდეგ ეს დეტალი შეიძლება ოფიციალურად ჩაიდოს კლინიკებთან ხელშეკრულებებში.
   6. (2.4) სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი მხარდაჭერა და თვალყურის მიდევნება, სამეცნიერო შედეგების გაზომვა და მისი ცვლილების ტენდენციებზე თვალყურის მიდევნება.

7. (3.1) გათვალისწინებულ იქნეს სტუდენტების ჩართულობა სამომავლოთ ვითშეფასების ანგარიშის პროცესებში; შესაძლებელია SPARQS პროექტის ფარგლებში მომზადებული სტუდენტების გამოყენებით. გაზრდილ იქნეს სტუდენტებსა და მომავალ დამსაქმებლებს შორის მეტი კომუნიკაციის შესაძლებლობები.
8. (3.1) სასურველია სტუდენტებს მიეწოდოთ უფრო დეტალური ინფორმაცია ინტეგრირებული კურიკულუმის განხორციელებისას, სწავლებისა, სწავლის და შეფასების მეთოდების შესახებ;
9. (4.3) იმის გამო, რომ ახალი ამერიკული საავადმყოფო იხსნება და მზადაა სტუდენტების მისაღებად, შეიძლება სასარგებლო იყოს ყველა კლინიკური ადგილის გადახედვაახალ ინტეგრირებულ კურიკულუმში, კლინიკური სწავლების შესაძლებლობების საერთო მიმოხილვასთან ერთად.
10. (5.3) დაწესებულება უნდა დაეყრდნოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ სწავლის შედეგებისა და სხვა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებისა და პროცესების - „თქვენ თქვით, ჩვენ გავაკეთეთ",მონიტორინგისუკვე შესრულებულ მაღალ ხარისხიან სამუშაოსრესურსების გაზრდით, რათა გაფართოვდეს მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. გარდა ამისა, ურთიერთშემოწმებასა და თემატურ ჯგუფზეშესრულებული სამუშაო მნიშვნელოვან სარგებელსმოუტანს მთელ კურიკულუმს.
11. (5.3) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში შეიძლება დასჭირდეს დარგის (მედიცინის) სპეციფიკასთან დაკავშირებული შეფასების სტრატეგია (მაგალითად, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების გასაუმჯობესებლად) დახარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შემუშავება საკითხებზე, რომლებიც განსხვავებული იქნება უნივერსიტეტისაგან და სპეციფიკური იქნება ფაკულტეტისათვის.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის" (ქართულენოვან) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

ეორე საკითხი:

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახურლი შეფასებები და მიიჩნია, რომ მეორე, სტანდარტი ნაცვლად „მეტილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", უნდა შეფასდეს, როგორც - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 25
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდირებულია შემუშავდეს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი.

რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგირედაქციით:

1. (1.2) გადაიხედოს სწავლის შედეგებისა და ქვე-შედეგების ფორმულირება სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის რამდენიმე ციკლის შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ პროცესის თანმიმდევრულობა და კვლავწარმოებადობა.
2. (2.2) გათვალისწინებულ იქნეს სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და პერსონალის ოფიციალური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.
3. (2.2) მითითებულ იქნეს მეტი, ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაცია პროგრამის შესახებ ვებგვერდზე.
4. (2.2) შემუშავებულ იქნეს გზები, რომლითაც სტუდენტებს მიეცემათ პროგრამის სტრუქტურისა და შედეგების გააზრების შესაძლებლობა.
5. (2.4) როტაციების მასშტაბისა და ფარგლების შემდგომი დეტალური დაგეგმვა, რომელთა შეთავაზებაც შესაძლებელი იქნება სტუდენტების არჩევანის მხარდაჭერის სისტემასთან ერთად, თუ იარსებებს არათანაზომიერი მოთხოვნა. შემდეგ ეს დეტალი შეიძლება ოფიციალურად ჩაიდოს კლინიკებთან ხელშეკრულებებში.
6. (2.4) სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი მხარდაჭერა და თვალყურის მიდევნება, სამეცნიერო შედეგების გაზომვა და მისი ცვლილების ტენდენციებზე თვალყურის მიდევნება.
7. (3.1) სასურველია სტუდენტებს მიეწოდოთ უფრო დეტალური ინფორმაცია ინტეგრირებული კურიკულუმის განხორციელებისას, სწავლებისა, სწავლის და შეფასების მეთოდების შესახებ;
8. (4.4) არსებული შესაძლებლობები კარგია, თუმცა სამომავლო განვითარებისთვის, სამედიცინო ფაკულტეტს შუძლია ისარგებლოს ბიუჯეტის დაგეგმვის და ხარჯვითი ნაწილის უფრო მეტი მოქნილობით, სამომავლოდ ამბიციური გეგმების განხორციელებისათვის;
9. (5.3) დაწესებულება უნდა დაეყრდნოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ სწავლის შედეგებისა და სხვა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებისა და პროცესების - „თქვენ თქვით, ჩვენ გავაკეთეთ”,მონიტორინგისუკვე შესრულებულ მაღალ ხარისხიან სამუშაოსრესურსების გაზრდით, რათა გაფართოვდეს მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. გარდა ამისა, ურთიერთშემოწმებასა და თემატურ ჯგუფზეშესრულებული სამუშაო მნიშვნელოვან სარგებელსმოუტანს მთელ კურიკულუმს.
10. (5.3) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში შეიძლება დასჭირდეს დარგის (მედიცინის) სპეციფიკასთან დაკავშირებული შეფასების სტრატეგია (მაგალითად, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების გასაუმჯობესებლად) დახარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შემუშავება საკითხებზე, რომლებიც განსხვავებული იქნება უნივერსიტეტისაგან და სპეციფიკური იქნება ფაკულტეტისათვის.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ (ინგლისურენოვან) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

16:20 საათზე საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს მოწვეულმა წევრებმა;
16:20 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
17:00 საათზე საბჭოს სხდომა განახლდა.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28/10/2011 N212
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გეოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	**ბაკალავრიატი**
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი გეოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 0532
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 ECTS

15	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, თსუ XI კორპუსი, 0177, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	07/11/2012 N190
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გეოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოლოგიის მაგისტრი MSc in Geology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 0532
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
15	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, თსუ XI კორპუსი, 0177, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

5. მეხუთესაკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	07/11/2012 N 199
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გეოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 0532
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 ECTS
15	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, თსუ XI კორპუსი, 0177, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა: გიორგი ღაღანიძემ, ნინო ინასარიძემ, და თეონა მატარაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ სბჭოზე დაინტერესებულ მხარეებს შესთავაზა ვინაიდან, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოლოგიის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, სამივე პროგრამა განეხილათ ერთად და აკრედიტაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებითაც ერთი შესვენების ფარგლებში ემსჯელათ.

მესამე, მეოთხე და მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნოდარ ფოფორაძემ საბჭოს გააცნო გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით:

- პროგრამებში არსებული სასწავლო კურსების ყველა სილაბუსში გაიწეროს სასწავლო კურსის შინაარსი (საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში გაიწეროს სასწავლო კურსის შინაარსი კვირების მიხედვით);
- განახლდეს ლიტერატურა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის („ბუნებრივი გარემოს კვლევის თანამედროვე მეთოდები“ და „გარემო და ბუნებრივი კატასტროფები“) სილაბუსში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში, გარდა „საბაკალავრო ნაშრომი“-სსილაბუსისა, წარმოდგენილი იყო სასწავლო კურსის შინაარსი. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას დასამუშავებელი თემების ჩამონათვალი დამოკიდებული იყო ნაშრომის თემატიკაზე.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში ძირითადად წარმოდგენილი იყო ბოლო 10-15 წლის ლიტერატურა. იმ საგნებში სადაც ლიტერატურა შედარებით ადრინდელი იყო, ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში იყო ხალი ლიტერატურაც ან/და ლექციების ე.წ რიდერი.

კერძოდ, ექსპერტების მიერ მითითებულ საგნებში

1) „ბუნებრივი გარემოს კვლევის თანამედროვე მეთოდები“, მითითებულია 2003 წლის სახელმძღვანელო - მრევლიშვილი – „ისტორიული გეოლოგია“, წიგნი I, თსუ - ს გამომცემლობა, 2003 წ, (ამ სახელმძღვანელოს მეორე ტომი გამოცემულია 2009 წელს). ჩვენი აზრით, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე სახელმძღვანელო აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

2) „გარემო და ბუნებრივი კატასტროფები“ მითითებული შემდეგი სახელმძღვანელოები: 1. ალ.ჯანელიძე. 1968. ზოგადი გეოლოგიის მოკლე კურსი. თსუ, თბილისი

2. ალ.ჯანელიძე. 1959. ნარკვევები გეოლოგიის ისტორიიდან. თსუ.

3.ღონღაძეგ. , ახალკაციშვილი მ.– 2018. გეოლოგიის საფუძვლები“, თსუ გამომცემლობა,

1. *4.* ცხოვრებაშვილი შ. 2010. ზოგადი გეომორფოლოგია, თბილისი, გამომცემლობა, „თსუ“
2. *5.* დ. ჩხეიძე. 1979. საინჟინრო გეოლოგია. განათლება. თბილისი

3. *6.* მ.ლომინაშვილი. 2006. კატასტროფები, ტერაქტები, ტრაგედიები. საქართველოს მაცნე. ამ ჩამონათვალში არის ბოლო წლების ლიტერატურა, რაც შეეხება ალექსანდრე ჯანელიძის ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოებს, ისინი დარგის კლასიკას წარმოადგენს დაჩვენი აზრით, განსაკუთრებით მიზანშეწონილია სტუდენტებისთვის.

თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი ორიენტირებული იყო ახალი/განახლებული სახელმძღვანელოების შექმნაზე და გამოცემაზე, ასევე საბიბლიოთეკო ფონდის განახლებაზე. შესაბამისად, მუდმივად მოხდებოდა სილაბუსებში ლიტერატურის განახლება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ გეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაცია გააცნო საბჭოზე დამსწრე საზოგადოებას:

- პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების ყველა სილაბუსში გაიწეროს სასწავლო კურსის შინაარსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში, გარდა „სამაგისტრო ნაშრომი“-ს სილაბუსისა, წარმოდგენილი იყო სასწავლო კურსის შინაარსი. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას დასამუშავებელი თემების ჩამონათვალი დამოკიდებული იყო ნაშრომის თემატიკაზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ აღნიშნა, რომ გეოლოგიის სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით არ აქვს რეკომენდაციები. რადგან აღნიშნულ პროგრამაზე წარმოდგენილია კარგი კონტიგენტი დოქტორანტებისა და კურსდამთავრებულებისა. ისინი ინფორმირებულები არიან კვლევითი ლაბორატორიების და კვლევითი ინსტიტუტების შესახებ, ინსტიტუციაში. ასევე, სადოქტორო დახმარების ცენტრის შესაძლებლობებზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა დოქტორანტების მიერ შესრულებული სადოქტორო ნაშრომის ხარისხს. ინტერვიუირების პროცესში ნათლად გამოჩნდა პროგრესი. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის თითქმის ყველა დოქტორანტი დასაქმებულია გეოლოგიის სფეროში. რამდენიმე მათგანს დაწესებულების მხრიდან აქვს მოწვევა აკადემიურ თანამდებობაზე.
აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნანა ფირცხელანმა დაამატა, რომ გეოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენდა ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს, დოქტორნატისა და ხელმძღვანელის ინტენსიური თანამშრომლობის. აღსანიშნავი იყო დაწესებულების დაინტერესება, რომ კურსდამთავრებულები დააბრუნონ დაწესებულებაში და ჩართონ პროგრამის განხორციელებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, გამოყენებულ ლიტერატურასთან დაკავშრებით. თუ რამ განაპირობა ძველი ლიტერატურის გამოყენება, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში, ხომ არ იყო გამოწვეული დარგის სფეციფიკიდან.
საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. სამაგისტრო ნაშრომების შედეგები, რომელსაც გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი, რამდენად იყო პრაქტიკულად გამოყენებადი.
ექსპერტთა ჯგუფს, ასევე კითხვით მიმართა საბჭოს თავმჯდომარემ 4.1კომპონენტში მოცემულ რჩევასთან დაკავშირებით, სადაც განსაზღრული იყო, რომ სასურველი იყო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზით ტრენინგების ჩატარება და მათი ჩართულობის გაზრდა. გამომიდნარე იქიდან, რომ აღნიშნული საკითხი შეეხებოდა კვალიფიკაციას, რატომ ჩათავალა ექსპერტთა ჯგუფმა, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო რჩევა და არა რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯოდმარემ, ნოდარ ფოფორაძემ, ექსპერტთა ჯგუფის მიმართ დასმულ შეკითხვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ 4.1 კომპონენტში გათვალისწინებული რჩევა გულისხმობდა, აკადემიური პერსონალის ჩართულობის ზრდას საერთაშორისო პროექტებში და გაცვლით პროგრამებში. რაც შეეხება, ლიტერატურასთან დაკავშირებულ შეკითხვას, მან განმარტა, რომ ნაშრომებში გამოყენებული ძველი ლიტერატურა განპირობებული იყო გეოლოგიის დარგში თანამედროვე კვლევების არ არსებობით. გამომდინარე იქიდან, რომ ძირითად შემთვევაში, საქართველოს რეგიონები გამოკვლეული იყო ძველი, წინა საუკუნის კვლევითი მეთოდებით, სასურველი იყო უცხოეთში განხორციელებული კვლევების თანამედროვე მეთოდების გამოყენება და აღნიშნულ პროცესებში ახალგაზრდა მკვლევარების ჩართვა. სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ აღნიშნა, რომ იყო კვლევის კომპონენტი, სადაც გამოყენებული იყო, როგორც დეპარტამენტში არსებული ხელსაწყოები და მოწყობილობები, ასევე კვლევებში ჩართული იყო შემოერთებული გეოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიები, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის კვლევის ლაბორატორიები და შესაბამისად, ლაბორატორიებში გამოყენებული თანამედროვე ხელსაწყო-მოწყობილობები ასახული იყო კვლვებში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დადებითად აფასებს სამაგისტრო ნაშორმების შესრულების ხარისხს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა მაქსიმალური, საშუალო და დაბალი შეფასების მქონე სამაგისტრო ნაშრომები. ექსპერტთა ჯგუფის თამჯდომარემ, რჩევასთან დაკავშრებით, რომელიც შეეხებოდა ლაბორატორიული ბაზების მეტად გაუმჯობესებას, აღნიშნა, რომ გარკვეული ტიპის ლაბორატორიული ხელსაწყო-მოწყობილობები შეძენილია ბოლო წლებში, თუმცა აუცილებელია ასევე ანალიტიკური ტიპის ხელსაწყო-მოწყობილობები, რომლებიც მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს მისცემს შესაძლებლობას კიდევ უფრო მეტი კვლევები განახორციელონ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბეჟან თუთბერიძემ, საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხება ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას. ბოლო პერიოდში დაწესებულება აქტიურად მუშაობს საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლითი პროგრამებთან დაკავშირებული საკითხების გაუმჯობესებაზე. კათედრის წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობენ იტალიელ, პოლონელ და ამერიკელ კოლეგებთან, წერენ ერთობლივ სტატიებს. ასევე იწვევნ უცხოელ კოლეგებს, რომლებიც კითხულობენ ლექციებს გეოლოგიის დეპარტამენტის სხვადასხვა დისციპლინებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა, დამზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა თავმჯდომარეს, არსებობს თუ არა თანამედროვე წყაროები, რომლის საფუძველზეც იყო შესაძლებელი, სამაგისტრო ნაშრომში გათვალისწინებული კვლევების ჩატარება.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ გეოლოგიური ობიექტების შესწავლისას ფაქტობრივი გარემოებები არ იცვლება, აქედან გამომიდინარე დეტალურად შესწავლილი ძველი ლიტერატურის გამოყენება არ წარმოადგენს პრობლემას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, ლაბორატორიების განახლებასთან დაკავშირებით. გავა თუ არა გეოლოგიის მაგისტრი პროგრამის სწავლის შედგეზე იმ შემთვევაში, თუ ლაბორატორიების განახლება ვერ მოხდება. ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშანა, რომ მაგისტრანტი გავა პროგრამის შედეგებზე, თუმცა ამისათვის პროგრამის ხალმძღვანელს ან სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს მოუწევს თანამშრომლობა სხვა ორგანიზაციებთან, რათა სტუდენტმა შეძლოს აღნიშნული კვლევების ჩატარება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულება ინსტიტუციისათვის არის პრიორიტეტული, შესაბამისად მათ მიერ გაცნობიერებულია პასუხისმგებლობა ზოგადად საზოგადოებისა და დარგების განვითარების მიმართ. მიუხედავად სტუდენტთა რაოდენობის სიმცირისა, მიღებული განათლების ხარისხი არის მაღალი. აღნიშული ფაკულტეტის განვითარება აქტიურად

მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულებით. ერთ-ერთი პირველი მიმართულებაა ინფრასტრქტურული განვითარება, დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს განახლდეს ლაბორატორიებ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. დინამიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამა მიზანმიმართულად მიდის განვითარებისაკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, დაინტერესდა დაწესებულების პოზიციით, 3.1 კომპონენტში წარმოდგენილ რჩევასთან დაკავშრებით, სადაც ექსპერტთა ჯგუფი საუბრობს, სტუდენტის მხრიდან ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასების აუცილებლობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების პრაქტიკა განსხვავებულია. თითოეული სემესტრის ბოლოს, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები სტუდენტებთან LMS ბაზის გამოყენებით, სადაც სტუდენტებს ეხსნებათ კურსისა და კურსის ხელმძღვანელის შეფასების ფორმა. თუმცა, გამომინარე იქიდან, რომ აღნიშნული გამოკითხვა არ იყო სავალდებულო, სტუდენტები თავს არიდებდნენ შეფასების ფორმის შევსებას, ამიტომ დაწესებულებამ შეიმუშავა მიდგომა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული შეფასების სისტემა, ისევ არ იქნებოდა სავალდებულო, თუმცა მისი არ შესრულების შემთვევაში სტუდენტი ვერ ნახავდა LMS ბაზაში თავის ნიშნებს. რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სტუდენტებში. ამიტომ ინსტიტუცია იძულებული გახდა უარი ეთქვა აღნიშნულ რეკომენდაციაზე. გარდა ამისა, შეფასებული ფორმების განხილვისას აღმოჩნდა რომ, შევსებული ფორმების ძირითადი ნაწილი შევსებული იყო ფორმალურად ამიტომ ვერ მისცემდა დაწესებულებას სწორი ანალიზის საშუალებას. შემდგომ ამისა დაწესებულებამ მოიწვია ექსპერტები და მათთან თანამშრომლობით შეიქმნა ახალი კითხვარები, რომლებიც პილოტირების რეჟიმშია და სტუდენტების დაახლოებით 15% ავსებს. აღნიშნული შედეგი განსხვავბდება ფაკულტეტების მიხედვით. მეორე ინსტრუმენტი, რომელიც შეეხება სტუდენტების მხრიდან სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასებას, არის შოტლანდიურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მომზადებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც დაიწყო კურსის წარმომადგენლების სისტემის შექმნა. პროექტის ფარგლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით გადამზადა 50-მდე სტუდენტი. პროექტის დასრულების შემდეგ, მოხდება შედეგების ანალიზი და მისი შემდგომი განზოგადება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ თხელიძემ აკადემიური აზრის გადმოცემასთან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ცალკე საგნად არ არის გამოტანილი აკადემიური წერა, თუმცა სასწავლო კურსებში ჩაშენებულია სემინარები, რომელიც მოითხოვს გარკვეული ლიტერატურის დამუშავებას და შემდგომ მის გადმოცემს. გარდა ამისა ინსტიტუცია, ერთერთი პროექტის ფარგელბში ატარებს ტრენინგებს აკადემიურ წერასთან დაკავშირებით, სტუდენტებს აქვთ შესაძლბლობა დარეგისტრირდნენ აღნიშნულ ტრენინგებზე. ტრენინგები ჩატარდა ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, რომელიც ამჟამად უნივერსიტეტის ქოლგის ქვეშ არის. სამაგისტრო ნაშრომის დაწერის პროცესში, სტუდენტი ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს აკადემიურ წერასთან დაკავშირებულ საკითებს. ასევე გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა, რომლითაც ხელმძღვანელობს მაგისტრანტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბეჟან თუთბერიძემ ბაზებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იყენებს შემოერთებული ინსტიტუციების ბაზებს, ასევე ფიზიკისაა და ქიმიის ფაკულტეტზე არსებულ იარაღებსა და ხელსაწყობს. ამიტომ აღნიშნული ბაზები, სრულიად საკმარისია სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩასატარებელი კვლევების განსახორციელებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციას საბუნებისმეტყველო მიმართულების სადოქტორო პროგრამების მიმართ ჰქონდა განსაკუთრებული მიდგომა, რომ აღნიშნულ პროგრამებზე გამოეზარდათ ამ პროგრამების მომავალი კადრები, განმახორციელებლები. ამიტომაც ამ

მიმართულებით განსაკუთრებული ძალისხმევა იყო მიმართული. პროგრამები აღჭურვილი იყო იმ შესაძლებლობებით, რაც სჭირდებოდა მომავალ მკვლევარს და მომავალ აკადემიურ კადრს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ბეჟან თუთბერიძემ ასევე დაამატა, რომ ამჟამად პროგრამაზე მყოფი დოქტორანტების შესაძლებლობების გათვალისწინებით, საქართველოში აღნიშნულ დარგს ჰქონდა განვითარების საშუალება. ოთხმა დოქტორანტმა მოიპოვა 40 000 ლარიანი გრანტი, რომლის საშუელაბეითაც ისინი გაემგზავრენ კანადაში.
საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, პროგრამაზე მოსული დოქტორანტები დაინტერესებული იყვნენ სამომავლოდ აკადემიური საქმიანობის გაგრძელებით, თუ დისერტაციის თემატიკებიდან გამომდინარე ინდუსტრიაში ან წარმოებაში იყვნენ ჩართულები. ასევე, მეორე კითვა შეეხებოდა სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულ ლიტერატურას, სადაც ძირითად გამოყენებული იყო ადგილობრივი კვლვები. ანალიზის მეთოდების ნაწილში და რატომ არ იყო შესაძლებელი საერთაშორისო კვლევების გამოყენება.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, სადოქტორო პროგრამის წინაპირობასთან დაკავშირებით იკითხა, თუ რა წინაპირობა უნდა შეესრულებინა დოქტორანტს იმისათვის, რომ გასულიყო სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბიუჯეტში სამეცნიერო-კვლევითი წლიური ხარჯები განსაზღვრულია 1531 ლარით. იგი დაინტერესდა, რამდენად იყო ეს თანხა საკმარი სამეცნიერო და კვლევითი ხარჯების დასაფარად.
საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი დაინტერესდა საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობებით. იყო თუ არა მოთხოვნა, სრომ დოქტორანტს დაცვამდე უნდა გამოექვეყნებინა რეიტინგულ საერთშორისო ინდექსირებულ ჟურნალში სტატია და ასევე, ბოლოს როდის მოხდა დისერტაციის დაცვა აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ბიუჯეტთან დაკავშირებულ შეკითვას უპასუხა, რომ სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები განსაზღვრულია საფინანსო დეპარტამენტის მიერ. მთელ ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი ხარჯებისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი სტუდენტების რისცხვის პროპორციულად არის ჩაწერილი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში. ხოლო წინაპირობებთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ დეპარტამენტს აქვს საერთო საფაკულტეტო მოთოვნები ნაშრომის დაცვის კუთხით. ასევე დოქტორანტურის დებულება მოითხოვს სამ სტატიას რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში, სადაც ერთი მაინც უნდა იყოს იმპაქტ ფაქტორის მქონე.
დაწესებულების წარმომადგენელმა ბეჟან თუთებრიძემ, კონტიგენტთან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ პროგრამაზე არიან დოქტორანტები, რომლებიც დასაქმებულები არიან, როგორც წარმოებაში და ასევე გელოგიის ინსტიტუციებში. ხოლო სადისერტაციო ნაშრომის ბოლო დაცვა განხორციელდა 2015 წელს, თუმცა არსებობს მოლოდინი, რომ უახლოეს მომავალში გაიზრდება გეოლოგიის მიმართულებით დაცული სადისერტაციო ნაშრომების რაოდენობა. ამჟამად, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობს 9 დოქტორანტი.
საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ როგორია მათი პოზიცია, სტატიის გამოცემის დაგვიანებასთან დაკავშირებით. ამ მოცდის პერიოდში დოქტორანტებს უჩერდებათ სტატუსი თუ ინარჩუნებენ მოქმედ სტატუსს. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ეს დამოკიდებულია დოქტორანტზე. როგორც წესი, დოქტორანტი აღნიშნულ დროს იყენებს დისერტაციის ტექსტური ნაწილის ჩამოყალიბებისთვის და სასწავლო კომპონენტის შესრულებისთვის. თუმცა არის შემთვევები, როდესაც ფორმალურად ხდება სტატუსის შეჩერება, შეზღუდული სასწავლო კურსების რაოდენობის გათვალისწინებით, მაგრამ დოქტორანტი, მაინც აქტიურად არის ჩაბმული კვლევაში. დაწესებულებაში გამოყოფილია პერსონალი, რომელიც ეხმარება დოქტორანტს დროის ოპტიმალურ გადანაწილებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ ასევე დაამატა, რომ დაწესებულებამ ბიუჯეტში გაითვალისწინა, დოქტორანტისათვის სტატიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:58
დასრულების დრო: 19:18
ესამე საკითხი:
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახურლი შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

- განახლდეს ლიტერატურა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის („ბუნებრივი გარემოს კვლევის თანამედროვე მეთოდები“ და „გარემო და ბუნებრივი კატასტროფები“) სილაბუსში.
- პროგრამის სწავლის შედეგების ეხმიანებოდეს შრომის ბაზრის თანამედოვე მოთხოვნებს და ეფუძნებოდეს ანალიზის შედეგებს.

რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- სასურველია, სილაბუსში აქტიურად იქნას გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან და ამავე დროს, უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოლოგიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არ არსებობს უახლესი საერთაშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები.
- სასურველია, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში საწყის კურსებზე დაემატოს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“.
- სასურველია, საველე პრაქტიკებისას სტუდენტების მონაწილეობა საველე გასვლებისას იყოს კიდევ უფრო მიზნობრივი.
- სასურველია, დასკვნით (საბოლოო) გამოცდაზე დაშვების წინაპირობის მინიმალური 11 ქულის გადახედვა და მისი გაზრდა;
- სასურველია, მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში (ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში);
- სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელობის მიერ განხილული იქნას პროგრამაში სასწავლო კურსად დარგობრივი უცხოენის დამატების შესაძლებლობები (უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, პროფესიული ტერმინების სწავლების დამატება);

- სასურველია პროგრამების განხორციელებაში დამსაქმებლების მეტი ჩართულობა და მათთან კონტაქტების გაუმჯობესება.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

ეოთხე საკითხი

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახურლი შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

- რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებულ იქნეს უახლესი ლიტერატურა და მკაცრად იყოს დაცული ციტირების წესები.
- პროგრამის სწავლის შედეგების ეხმიანებოდეს შრომის ბაზრის თანამედოვე მოთხოვნებს და ეფუძნებოდეს ანალიზის შედეგებს;

რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- სილაბუსში აქტიურად იქნას გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები;
- სასურველია, მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში (ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერები სამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში). ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო ჩართულობის მეტად გაზრდა კონფერენციებში მონაწილეობისთვის;
- სასურველია, დასკვნით (საბოლოო) გამოცდაზე დაშვების წინაპირობის მინიმალური 11 ქულის გადახედვა და მისი გაზრდა;
- სასურველია, ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგო მჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაცი ის პროცესებში;

- სასურველია, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ხშირად ჩატარდეს ტრენინგები და ასევე გაიზარდოს მათი ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პ როგრამებში;
- პერსონალის ტრენინგების რაოდენობის გაზრდა მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ეს ეხება ასევე ინტერნაციონალიზაციის კუთხით ტრენინგების გავლასაც;
- ასურველია, ლაბორატორიული ბაზის მეტად გაუმჯობესება, შესაძლებელია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლაბორატორიის ფარგლებში.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

ეხუთე საკითხი:

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახურლი შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ დაამატა რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

- პროგრამის სწავლის შედეგების ეხმიანებოდეს შრომის ბაზრის თანამედოვე მოთხოვნებს და ეფუძნებოდეს ანალიზის შედეგებს;
- რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებულ იქნეს უახლესი ლიტერატურა.

რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები:

- სილაბუსებში აქტიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე ინგლისურ ენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალა;
- სასურველია, მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართვა საერთაშორის ოგაცვლით პროგრამებში (ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში);
- სასურველია, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ხშირად ჩატარდეს ტრენინგები და ასევეგაიზარდოს მათი ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში;

- სასურველია პროგრამების განხორციელებაში დამსაქმებლების მეტი ჩართულობა და მათთან კონტაქტების გაუმჯობესება.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურუ ლად გამოცხადდა 21:15 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა